ხელშეკრულება № 196

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი **21 თებერვალი 2023 წ.**

ერთის მხრივ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ტარიელ ჭანტურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "კავკასუს მოტორსი" (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის გიორგი ამაშუკელის სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნტქის ,,თ" ქვეპუნქტი.

1.2. დაფინანსების წყარო: “დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვის ფარგლებში”.

2. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

2.1.ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია: საკუთრებაში არსებული Mitsubishi L200-ის სახელმწიფონომრით (MM_588_OM, MM_587_OM) ტექნიკური მომსახურება „სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები“ (შემდგომში ,,მომსახურება“) შესყიდვა (CPV50100000), დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 8000.00 (რვაათასი) ლარს ყველა გადასახადის გათვალისწინებით, დანართი №1-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2 პრეისკურანტის ღირებულება შეადგენს 169502.50 (ასსამოცდაცხრაათას ხუთასორი ლარი და 50 თეთრი) (დღგ-ს ჩათვლით).

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 „მომსახურების“ უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი“ საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის“ ინტერესების გათვალისწინებით.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1. „მომსახურების“ მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 „მომსახურების“ გაწევის ადგილი: მიმწოდებლის სერვისცენტრი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „მომსახურების“ მიწოდებას განახორციელებს უშუალოდ „მიმწოდებელი", მან უნდა წარუდგინოს „შემსყიდველს“ მის სახელზე შედგენილი და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

6.2 იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველის“ მიერ საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნება „მომსახურების“ უხარისხობა, იგი წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით და მოითხოვს წუნდებული „მომსახურეობის“ გამოსწორებას ან/და კომპენსაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.3 ინსპექტირებაზე და მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი: ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი კახაბერ ფირცხალაიშვილი და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი მიხეილ მარტაშვილი.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.

7.2 ანგარიშსწორება - ეროვნულ ვალუტაში, ლარში.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული „მომსახურებისა" და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს" ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

8.1.2. წინასწარ, 1(ერთი) თვით ადრე აცნობოს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.2.1 მიაწოდოს „შემსყიდველს" „მომსახურება",რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით „შემსყიდველის" დაკვეთას.

8.2.2 წინასწარ, 1(ერთი) თვით ადრე აცნობოს ,,შემსყიდველს" ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.2.3 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.

8.2.4. მომსახურების ღირებულება უნდა შეიცავდეს მიმტანის ტრანსპორტირების და ჭურჭლის (არაერთჯერადი) ღირებულებას.

8.3 „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

8.3.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების ყველა პუნქტის შესრულება.

8.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა.

8.3.3 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებლის" ქმედების გამო იგი დგება იმ ფაქტის წინაშე, რომ შეიძლება დაირღვეს სახელმწიფო ინტერესები, ამასთან მოითხოვოს ზარალის სრული და დროული ანაზღაურება.

8.4 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

8.4.1 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან" მის მიერ მიწოდებული „მომსახურების" ღირებულების სრული ანაზღაურება.

8.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის" მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების" მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

8.4.3 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

8.4.4 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან" რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია „შემსყიდველის" მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გადაცდენის, ან მიწოდების ვადების გაუარესების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით.

9.2. ხელშეკრულების მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევათა გარდა, სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ერთი მხარის მიმართ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

9.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
10.2. „მიმწოდებელს" არ აქვს უფლება „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.
10.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.
10.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ხელშეკრულებაში ცვლილებათა შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, "მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
11.1.1 თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება".
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3 „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:
11.3.1 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის" ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.
11.3.2 თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.3.3 „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში.

12. დაუძლეველი ძალის მოქმედება

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შიეძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით რომელსაც დაადასტურებს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო.
12.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი

ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.
12.4 დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1„შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.
13.2თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

14. გამოსაყენებელი სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

16. ურთიერთობა მხარეებს შორის

16.1.ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობებისდარღვევისათვის

17.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.
17.2 ამასთან, მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით სრულად მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

18. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

18.1 „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე „შემსყიდველი" უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
18.2 კონტროლისას გამოვლენილ ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს".

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.
19.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
19.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
19.4 ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

20. განსაკუთრებული შენიშვნები

20.1 ხელშეკრულება შედგენილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

21. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ.
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
მის: თბილისი, კახეთის გზატკეცილი #99
ს/კ: 211324351
სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
ა/ნ: GE24NB0330100200165022
გენერალური დირექტორის მოადგილე:

ტარიელ ჭანტურიძე

_____

L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health

Digitally signed by L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Date: 2023.02.21 15:50:15 +04'00'

„მიმწოდებელი“

შპს "კავკასუს მოტორსი"
მის: თბილისი, დ.აღმაშენებლის
ხეივანი #84
ს/ნ 436031768
ს.ს ვი თი ბი ბანკის კოდი:
UGEBGE22
ა/ა GE50VT7000003333333333

დირექტორი
გიორგი ამაშუკელი

_____

CAUCASUS MOTORS LLC

Digitally signed by CAUCASUS MOTORS LLC
Date: 2023.02.21 12:43:31 +04'00'

დანართი #1

№	სათადარიგო ნაწილის დასახელება	ზ/ე	ერთეული სათადარიგო ნაწილის ფასი ახალი	ერთეული მომსახურების ფასი	საგარანტიო პირობა (ვადა/გარბენი)
1	ძრავის ზეთი	ლიტრი	30.00	0.00	10 000 კმ
2	ძრავის ზეთის ფილტრი	ცალი	80.00	18.00	10 000 კმ
3	ჰაერის ფილტრი	ცალი	120.00	0.00	10 000 კმ
4	წინა სამუხრუჭე ხუნდები	კომპლექტი	380.00	24.00	10 000 კმ
5	სალონის ფილტრი	ცალი	140.00	12.00	10 000 კმ
6	საწვავის ფილტრი	ცალი	130.00	36.00	10 000 კმ
7	სავალი ნაწილის შეპოხვა	ცალი	0.00	36.00	10 000 კმ
8	ხიდის ზეთი	ლიტრი	40.00	48.00	40 000 კმ
9	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომპლექტი	302.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
10	დინამოს ღვედი	ცალი	160.00	236.00	3 თვე ან 10 000 კმ
11	კონდიციონერის ღვედი	ცალი	195.00	236.00	3 თვე ან 10 000 კმ
12	წყლის რადიატორი	ცალი	2384.00	236.00	3 თვე ან 10 000 კმ
13	მექანიკური გადაცემათა კოლოფის ზეთი	ლიტრი	40.00	48.00	40 000 კმ
14	გამანაწილებელი კოლოფის ზეთი	ლიტრი	40.00	48.00	40 000 კმ
15	ჰიდრავლიკის ზეთი	ლიტრი	50.00	48.00	3 თვე ან 10 000 კმ
16	სამუხრუჭე სითხე	ლიტრი	70.00	96.00	3 თვე ან 10 000 კმ
17	ანტიფრიზი	ლიტრი	30.00	36.00	3 თვე ან 10 000 კმ
18	სუპორტის რემ-კომპლექტი	ცალი	88.00	118.00	3 თვე ან 10 000 კმ
19	სუპორტი	ცალი	1535.00	72.00	6 თვე ან 20 000კმ
20	სუპორტის ცილინდი (პორშინი)	ცალი	161.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
21	სუპორტის სალასკა	ცალი	40.00	24.00	3 თვე ან 10 000 კმ
22	წინა სამუხრუჭე ხუნდების დამჭერი დეტალი	ცალი	284.00	48.00	3 თვე ან 10 000 კმ
23	წინა სამუხრუჭე ხუნდების ფირფიტა	კომპლექტი	62.00	24.00	3 თვე ან 10 000 კმ
24	წინა სამუხრუჭე ხუნდების დამჭერი შპილკა	კომპლექტი	86.00	24.00	3 თვე ან 10 000 კმ
25	უკანა სამუხრუჭე ხუნდების ცილინდრი	ცალი	320.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
26	უკანა სამუხრუჭე ხუნდების სარეგულირო ძელი	ცალი	172.00	59.00	3 თვე ან 10 000 კმ
27	უკანა სამუხრუჭე ხუნდების ზამბარა	ცალი	34.00	59.00	3 თვე ან 10 000 კმ
28	მუხრუჭის მთავარი ცილინდრი	ცალი	1198.00	118.00	6 თვე ან 20 000კმ
29	ABS-ის ბლოკი	ცალი	5590.00	236.00	6 თვე ან 20 000კმ
30	რულის ღერძის ქვედა კარდანი	ცალი	523.00	354.00	6 თვე ან 20 000კმ
31	რულის ღერძის ზედა კარდანი	ცალი	2455.00	354.00	6 თვე ან 20 000კმ
32	რულის ღერძის ზედა დეტალი	ცალი	2313.00	354.00	6 თვე ან 20 000კმ
33	საჭის მექანიზმი	ცალი	5690.00	354.00	6 თვე ან 20 000კმ
34	საჭის ჰიდროგამაძლიერებელი ტუმბო	ცალი	3219.00	236.00	6 თვე ან 20 000კმ
35	საყრდენი სამუხრუჭე დისკი	ცალი	540.00	48.00	-
36	უკანა სამუხრუჭე ბარაბანი	ცალი	617.00	72.00	6 თვე ან 20 000კმ

37	გადაბმულობის დისკი	ცალი	870.00		-
38	გადაბმულობის ქურო (პლიტა)	ცალი	650.00	590.00	-
39	გადაბმულობის დამწოლი საკისარი (ვიჟიმნოი)	ცალი	530.00		-
40	წინა ამორტიზატორი	ცალი	540.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
41	უკანა ამორტიზატორი	ცალი	413.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
42	წინა სტაბილიზატორის რეზინი	ცალი	35.00	36.00	3 თვე ან 10 000 კმ
43	წინა სტაბილიზატორის ლინკა	ცალი	188.00	24.00	3 თვე ან 10 000 კმ
44	რაზდატკის რეზინის ბალიში	ცალი	120.00	48.00	3 თვე ან 10 000 კმ
45	წინა მორგვი (სტუპიცა)	ცალი	778.00	96.00	6 თვე ან 20 000კმ
46	უკანა ხიდის სალნიკი	ცალი	60.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
47	წინა ხიდის სალნიკი	ცალი	60.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
48	შიდა ყუმბარის პილნიკი	ცალი	296.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
49	გარე ყუმბარის პილნიკი	ცალი	335.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
50	რესორი	ცალი	1800.00	236.00	-
51	რესორის რეზინი	ცალი	18.00	24.00	3 თვე ან 10 000 კმ
52	წინა ქვედა გიტარა	ცალი	1247.00	96.00	3 თვე ან 10 000 კმ
53	წინა ზედა გიტარა	ცალი	549.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
54	საბურავის გაიკა	ცალი	15.00	18.00	-
55	საბურავის შპილკა	ცალი	15.00	18.00	-
56	შიდა ყუმბარა	ცალი	1493.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
57	გარე ყუმბარა	ცალი	2004.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
58	ქვედა შარავოი	ცალი	170.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
59	ძრავის უკანა სალნიკი	ცალი	82.00	590.00	3 თვე ან 10 000 კმ
60	კოლოფქვეშა რეზინი	ცალი	520.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
61	ძრავქვეშა რეზინი	ცალი	174.00	236.00	3 თვე ან 10 000 კმ
62	გამანაწილებელი კოლოფის სალნიკი	ცალი	83.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
63	ძრავის ზეთის წნევის სენსორი	ცალი	58.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
64	ძრავის წინა სალნიკი	ცალი	120.00	590.00	3 თვე ან 10 000 კმ
65	საწვავის ავზის ტივტივა	ცალი	300.00	72.00	3 თვე ან 10 000კმ
66	საწვავის ავზის ხუფი	ცალი	74.00	2.00	-
67	საწვავის ტუმბო	ცალი	6484.00	590.00	6 თვე ან 20 000კმ
68	სარქველი (დროსელი)	ცალი	1065.00	118.00	6 თვე ან 20 000 კმ
69	გაფართოებული წყლის ავზი	ცალი	63.00	36.00	3 თვე ან 10 000კმ
70	წყლის ტუმბო	ცალი	947.00	354.00	3 თვე ან 10 000 კმ
71	წყლის გამაგრილებელი ვენტილატორი	ცალი	235.00	118.00	3 თვე ან 10 000 კმ
72	შემსვლელი ჰაერის ტემპერატურის სენსორი	ცალი	462.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
73	ტურბინა	ცალი	8600.00	236.00	3 თვე ან 10 000 კმ
74	ანთების სპირალის რელე	ცალი	282.00	48.00	3 თვე ან 10 000 კმ
75	კალენვალის სენსორი	ცალი	352.00	590.00	3 თვე ან 10 000 კმ
76	რასპრედვალის სენსორი	ცალი	352.00	118.00	3 თვე ან 10 000 კმ
77	გადაბმულობის ქვედა ბაჩოკის გადამყვანი	ცალი	330.00	590.00	3 თვე ან 10 000 კმ
78	გადაბმულობის ზედა ბაჩოკი	ცალი	443.00	236.00	3 თვე ან 10 000 კმ
79	გადაცემათა კოლოფის სალნიკი	ცალი	42.00	118.00	3 თვე ან 10 000 კმ
80	გადაცემათა კოლოფის ღერძის საკისარი	ცალი	142.00	590.00	3 თვე ან 10 000 კმ
81	წინა კარდანი	ცალი	2900.00	118.00	3 თვე ან 10 000 კმ

82	უკანა კარდანი	ცალი	5207.00	118.00	3 თვე ან 10 000 კმ
83	წინა ხიდის რედუქტორი	ცალი	13762.00	590.00	3 თვე ან 10 000 კმ
84	უკანა ხიდის რედუქტორი	ცალი	5781.00	590.00	3 თვე ან 10 000 კმ
85	საბურავის დისკის ხუფი (კალპაკი)	ცალი	34.00	2.00	-
86	სათადარიგო საბურავის ამწე	ცალი	338.00	72.00	-
87	წინა ამორტიზატორის ზამბარა	ცალი	362.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
88	რესორის მანჟეტი (სტრმიანკა)	ცალი	107.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
89	ხელის მუხრუჭის ტროსი	ცალი	351.00	118.00	3 თვე ან 10 000 კმ
90	საჭის წევის დაბოლოება (ნაკანეჩნიკი)	ცალი	147.00	24.00	3 თვე ან 10 000 კმ
91	საჭის წევა (ტიაგა)	ცალი	260.00	36.00	3 თვე ან 10 000 კმ
92	კარტერის ბოლტი	ცალი	30.00	18.00	-
93	მფრქვევანა (ფარსუნკა)	ცალი	2437.00	354.00	3 თვე ან 10 000 კმ
94	ანტენის სპირალი (გამათბობელი)	ცალი	185.00	48.00	3 თვე ან 10 000 კმ
95	გამათბობელი (ფეჩი)	ცალი	3853.00	1180.00	3 თვე ან 10 000 კმ
96	გამათბობლის ძრავი	ცალი	744.00	590.00	3 თვე ან 10 000 კმ
97	თერმოსტატი	ცალი	78.00	177.00	3 თვე ან 10 000 კმ
98	მინის საწმენდი რეზინები	კომპლექტი	200.00	2.00	-
99	საყვირი	კომპლექტი	103.00	59.00	3 თვე ან 10 000 კმ
100	წყლის მისასხმელის ავზის ძრავი	ცალი	240.00	236.00	3 თვე ან 10 000 კმ
101	მუხრუჭის ნათურა	ცალი	8.00	24.00	1 თვე
102	უკუ სვლის ნათურა	ცალი	8.00	24.00	1 თვე
103	უკანა მოიხვევის ნათურა	ცალი	8.00	24.00	1 თვე
104	წინა მოხვევის ნათურა	ცალი	8.00	24.00	1 თვე
105	ნისლსაწინააღმდეგო ფარის ნათურა	ცალი	83.00	36.00	1 თვე
106	გაბარიტის ნათურა	ცალი	5.00	24.00	1 თვე
107	წინა ფარის ნათურა HB2	ცალი	113.00	36.00	1 თვე
108	წინა ფარის ნათურა H11	ცალი	102.00	36.00	1 თვე
109	სალონის განათების ნათურა	ცალი	5.00	12.00	1 თვე
110	ფეჩის რადიატორი	ცალი	851.00	1180.00	6 თვე ან 20 000 კმ
111	კონდიციონერის კომპრესორი	ცალი	3500.00	354.00	3 თვე ან 10 000 კმ
112	გასაღები	ცალი	504.00	236.00	-
113	აკუმულატორი	ცალი	450.00	12.00	1 წელი
114	კონდიციონერის რადიატორი	ცალი	1465.00	236.00	6 თვე ან 20 000 კმ
115	კარის მინის ამწევი მექანიზმი	ცალი	214.00	118.00	-
116	კარის მინის ამწევი ძრავი	ცალი	581.00	118.00	6 თვე ან 20 000 კმ
117	რულის შლეიფი	ცალი	583.00	118.00	6 თვე ან 20 000 კმ
118	ტურბინის წნევის სენსორი	ცალი	219.00	24.00	6 თვე ან 20 000 კმ
119	ინტერქულერი (ტურბოს რადიატორი)	ცალი	1504.00	236.00	6 თვე ან 20 000 კმ
120	ინტერქულერის მილი	ცალი	301.00	236.00	3 თვე ან 10 000 კმ
121	ინტერქულერის სადები რეზინა	ცალი	25.00	236.00	3 თვე ან 10 000 კმ
122	საწვავია ავზი	ცალი	2082.00	354.00	6 თვე ან 20 000 კმ
123	ძრავის წინა დამცავი	ცალი	368.00	24.00	-
124	ძრავის უკანა დამცავი	ცალი	409.00	24.00	-
125	დინამოს ღვედის დამჭიმი როლიკი	ცალი	387.00	118.00	3 თვე ან 10 000 კმ
126	კონდიციონერის ღვედის დამჭიმი როლიკი	ცალი	230.00	236.00	3 თვე ან 10 000 კმ

127	დინამო	ცალი	8539.00	236.00	6 თვე ან 20 000 კმ
128	სტარტერი	ცალი	3200.00	236.00	6 თვე ან 20 000 კმ
129	საწვავის წნევის რეგულატორი	ცალი	1291.00	118.00	6 თვე ან 20 000 კმ
130	უკანა ნახევარღერძის (პოლუოსის) საკისარი	ცალი	189.00	526.00	3 თვე ან 10 000 კმ
131	უკანა ნახევარღერძის (პოლუოსის) ჩობალი	ცალი	17.00	526.00	3 თვე ან 10 000 კმ
132	მოხვევის მუშტა (წერო)	ცალი	1277.00	118.00	3 თვე ან 10 000 კმ
133	ABS-ის სენსორი	ცალი	809.00	72.00	3 თვე ან 10 000 კმ
134	საჭის წევის მტვერდამცავი	ცალი	94.00	48.00	3 თვე ან 10 000 კმ
135	წყლის რადიატორის ხუფი	ცალი	49.00	2.00	3 თვე ან 10 000 კმ
136	წინა ხიდის საჰაერო	ცალი	27.00	236.00	3 თვე ან 10 000 კმ
137	EGR-ის კლაპანი	ცალი	1098.00	236.00	3 თვე ან 10 000 კმ
138	ჰიდრომუფტა	ცალი	1103.00	236.00	3 თვე ან 10 000 კმ
139	ბენდექსი	ცალი	260.00	236.00	3 თვე ან 10 000 კმ
140	ფრეონი	100 გ	36.00	24.00	-
141	დინამოს საკისარი	ცალი	124.00	236.00	3 თვე ან 10 000 კმ
142	გამანაწილებელი კოლოფი	ცალი	9965.00	590.00	6 თვე ან 20 000 კმ
143	გამანაწილებელი კოლოფის ჩამრთველი	ცალი	1045.00	590.00	6 თვე ან 20 000 კმ
144	საბურავის შეკეთება	ცალი	0.00	36.00	-
145	საბურავის გადაადგილება	ცალი	0.00	6.00	-
146	საბურავის დაშლა, აწყობა, ბალანსირება	ცალი	0.00	36.00	-
147	საყრდენი სამუხრუჭე დისკის ახარატება	ცალი	0.00	96.00	-
148	თვლების შეყრა	კომპლექტი	0.00	96.00	-
149	ელექტრო დიაგნოსტიკა	ცალი	0.00	72.00	-
150	წინა ხიდის ხუფის შეკეთება	ცალი	0.00	236.00	-
151	სტეპლენიის დაჰაერება	ცალი	0.00	118.00	-
152	მინების დაბურვა	კომპლექტი	0.00	450.00	-
153	მინის დეფლექტორი	კომპლექტი	0.00	410.00	-
154	საბარგულის ჩასაფენი	ცალი	0.00	236.00	6 თვე
155	ფეხსაგები	კომპლექტი	200.00	0.00	-
156	ფარების გასწორება	კომპლექტი	0.00	48.00	3 თვე ან 10 000 კმ
157	წყლის მისასხმელი პლასტმასი	კომპლექტი	44.00	48.00	3 თვე ან 10 000 კმ
158	შემსვლელი ჰაერის ტემპერატ. სენსორის გაწმ.	ცალი	0.00	48.00	-
159	EGR-ის კლაპანს მოხსნა-დაყენება გაწმენდა	ცალი	0.00	354.00	-
160	ევაკუატორის მომსახურება	კმ.	0.00	3.50	-
	ჯამი		**143013.00**	**26489.50**	
	სულ ჯამი			**169502.50**	

დირექტორი ---------- გიორგი ამაშუკელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 8) და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების (მუხლი 8) შესაბამისად ქვემოთ ხელისმომწერი პირები ვადასტურებთ, შპს „კავკასუს მოტორსი“-სთან ურთიერთობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ვიზები:

ო. ნამიჭეიშვილი

გ. ქობალია

ნ. მარჯანიძე-თორაძე

ლ. ებანოიძე

კ. გულუა

კ. ფირცხალაიშვილი

მ. მარტაშვილი

ა. მეტრეველი

შემსრულებელი: დ. ნოზაძე